გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. გარდაბანი 24 დეკემბერი 2025 წელი.

13:00 სთ.

2025 წლის 24 დეკემბერს 13:00 საათზე ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N 6 სხდომა.

სხდომას უძღვებოდა - კომისიის თავმჯდომარე ლევან ნიჟარაძე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

დავით ებილაშვილი
თორნიკე ქავთარაძე
ლაშა ქართლოსიშვილი
ისლამ მამედოვი
ქართლოსი მამულაძე
ხვიჩა ჩიტაშვილი
ზაქირ დაშდამიროვი

არ ესწრებოდა: სამირ ხიალოვი, ლევანი ბეგლარიშვილი, ზაზა ონიანი, გუსეინკულუ მუსაევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და კენჭი უყარა წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებას.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს დღის წესრიგი შემდეგი სახით:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (განმეორებითი განხილვა).

განხილულ იქნა :

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2025 წლის 09 დეკემბრის №18-1825343131 წერილით წარმოდგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (განმეორებითი განხილვა).

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 09 დეკემბრის №18-1825343131 წერილით წარმოდგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ, მომხსენებლის განმარტებით დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ, 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს, კერძოდ:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ პროგნოზირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის 20% 2026 წლისთვის შეადგენს - 2,170,000.0 ათას ლარს, საიდანაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2026 წელს მიიმართება - 18,799.6 ათ. ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 44,299.6 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3,799.6 ათასი ლარით.

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვითშემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 18,799.6 ათასი ლარით;

  2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 125%-ით (3,799.6 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 25,500.0 ათას ლარს;

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 2,300.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 1,200.0 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 1,100.0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 350.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 165.0 ათასი ლარი;
- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 170.0 ათასი ლარი;
- ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 15.0 ათასი ლარი;

➢ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 4,650.0 ათასი ლარის ოდენობით.**

➢ **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 700.0 ათასი ლარის ოდენობით.**

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 2,000.0 ათას ლარს;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 57,024.6 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 6,524.6 ათასი ლარით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 6,690.5 ათასი ლარი; მათ შორის:

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 441.0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გარდა 2025-2026 წლების გარდამავალი პროექტების თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებულია:

- ✓ სოფ.ნაზარლო-ჯანდარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 22,200 ლარი;
- ✓ სოფ.მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 50,700 ლარი;
- ✓ სოფ ვაზიანში შიდა გზების რეაბილიტაცია - 23,000 ლარი;
- ✓ სოფ ახალსოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია - 21,900 ლარი;
- ✓ სოფ ნორიოში შიდა გზების რეაბილიტაცია - 21,900 ლარი;
- ✓ სოფ სართიჭალაში ბილიკის და სანიაღვრე არხის მოწყობა - 74,500 ლარი;
- ✓ სოფ მარტყოფში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 93,600 ლარი;
- ✓ სოფ მარტყოფში შოშიაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 28,200 ლარი;

- ✓ **წყლის სისტემების განვითარება - 1,995.5 ათასი ლარი;**
  - ✓ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია.

- ✓ **გარე განათება - 2,420.0 ათასი ლარი;**
  - ✓ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია.

- ✓ **მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 554.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გარდა გათვალისწინებულია 2026 წელს განსახორციელებელი პროექტისთვის თანადაფინანსების თანხა:

- ✓ სოფელ აღთაქლიაში კორპუსების ფასადების და კანალიზაციის რეაბილიტაცია - 26,900 ლარი;

- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები - 1,280.0 ათასი ლარით.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2,926.8 ათასი ლარი; მათ შორის:**

- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2,575.0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

- ✓ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 351.8 ათასი ლარი.**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

- ➢ **განათლება - 15,329.5 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ **სკოლამდელი განათლება - 15,284.5 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულება;

- ✓ **დაწყებითი ზოგადი განათლება - 45.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაწყებითი ზოგადი განათლების დაწესებულებების წარჩინებული მოსწავლეების წახალისება.

- ➢ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 7,553.9 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4,111.3 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თანადაფინანსების თანხა 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის:

- ✓ სოფელ ნორიოში საჭიდაო დარბაზის მოწყობა - 102,100 ლარი;
- ✓ სოფელ მარტყოფში სპორტული დარბაზის მოწყობა - 75,000 ლარი;
- ✓ სოფელ სართიჭალაში არსებული საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქცია - 52,400 ლარი;

- ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 3,292.7 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 149.9 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 5,454.0 ათასი ლარი, მათ შორის:

  - ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 329.0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

  - ✓ სოციალური პროგრამები - 5,125.0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დასაფინანსებლად:
    - ✓ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 1,100.0 ათასი ლარი;
    - ✓ ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი - 56.0 ათასი ლარი;
    - ✓ სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა - 120.0 ათასი ლარი;
    - ✓ თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა - 469.0 ათასი ლარი;
    - ✓ ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 370.0 ათასი ლარი;
    - ✓ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 8.0 ათასი ლარი;
    - ✓ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - 170.0 ათასი ლარი;
    - ✓ დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა - 10.0 ათასი ლარი;
    - ✓ უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 90.0 ათასი ლარი;
    - ✓ ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა - 30.0 ათასი ლარი;
    - ✓ უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა - 12.0 ათასი ლარი;
    - ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები - 87.0 ათასი ლარი;
    - ✓ ბავშვთა პროგრამები - 200.0 ათასი ლარი;
    - ✓ სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა - 113.0 ათასი ლარი;
    - ✓ სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - 420.0 ათასი ლარი;

- ✓ ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა - 380.0 ათასი ლარი;
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა - 80.0 ათასი ლარი;
- ✓ უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები - 90.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა - 45.0 ათასი ლარი;
- ✓ მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 60.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა - 20.0 ათასი ლარი;
- ✓ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა - 35.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - 1,075.0 ათასი ლარი;
- ✓ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 85.0 ათასი ლარი;

➢ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 19,069.9 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 2,925.7 ათასი ლარი;
- ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია - 11,282.8 ათასი ლარი;
- ✓ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა - 90.0 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 200.0 ათასი ლარი;
- ✓ მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა - 4,441.4 ათასი ლარი;
- ✓ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები - 50.0 ათასი ლარი;
- ✓ ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა - 55.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური თანასწორობის ხელშეწყობა - 25.0 ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

ორგ. კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	19069.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	14298.5

01 01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2925.7
01 01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	11282.8
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	90.0
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**4771.4**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200.0
01 02 02	მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	4441.4
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	50.0
01 02 04	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	55.0
01 02 05	სოციალური თანასწორობის ხელშეწყობა	25.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**6690.5**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**441.0**
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	336.0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	40.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	65.0
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**1995.5**
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია	400.0
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1232.7
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	362.8
02 03	**გარე განათება**	**2420.0**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2420.0
02 04	**მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	**554.0**
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	26.9
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	527.1

02 07	**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები**	**1280.0**
02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	280.0
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	960.0
02 07 03	ქსელებზე დაერთებასა და მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები	40.0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2926.8**
03 01	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**2575.0**
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2525.0
03 01 02	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	50.0
03 02	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**	**351.8**
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა	351.8
04 00	**განათლება**	**15329.5**
04 01	**სკოლამდელი განათლება**	**15284.5**
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	15284.5
04 02	**დაწყებითი ზოგადი განათლება**	**45.0**
04 02 03	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ხელშეწყობა	45.0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**7553.9**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**4111.3**
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	118.0
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	3643.6
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	229.7

05 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	120.0
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**3292.7**
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	226.0
05 02 02	ტელევიზიის დაფინანსება	50.0
05 02 03	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	493.1
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	398.3
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	1166.8
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	352.0
05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	342.2
05 02 08	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	264.3
05 03	**ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**	**149.9**
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	149.9
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**5454.0**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**329.0**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	329.0
06 02	**სოციალური პროგრამები**	**5125.0**
06 02 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1100.0
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	56.0
06 02 03	სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა	120.0
06 02 04	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	469.0
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	370.0
06 02 06	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	8.0
06 02 07	დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	170.0

06 02 09	დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	10.0
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	90.0
06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	30.0
06 02 12	უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	12.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები	87.0
06 02 14	ბავშვთა პროგრამები	200.0
06 02 15	სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა	113.0
06 02 16	სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	420.0
06 02 17	ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	380.0
06 02 18	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა	80.0
06 02 19	უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები	90.0
06 02 20	სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	45.0
06 02 21	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	60.0
06 02 22	სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა	20.0
06 02 23	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა	35.0
06 02 24	სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	1075.0
06 02 26	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	85.0

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 19,069.9 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 1,721.0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 3,289.6 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 4,606.7 ათასი ლარი;

- ჯანმრთელობის დაცვა - 385.0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 6,320.3 ათასი ლარი;
- განათლება - 16,563.1 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 5,069.0 ათასი ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიებისა და ფრაქციების დასკვნების გათვალისწინებით, კომისიამ დაადგინა, რომ, წარმოდგენილი პროექტი ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები სრულად ასახავს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს, აქედან გამომდინარე კომისია მხარს უჭერს მერის მიერ ინიცირებულ ,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი განსახილველად გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე, თანდართული დოკუმენტაციით.

სხდომის თავმჯდომარე: ლევანი ნიჟარაძე.